

პროგრამის აკრედიტაციისათვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების რეკომენდაციები

სტანდარტი 1 – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- რამდენად არის სტანდარტები დაკმაყოფილებული?
- როგორ აღწერთ პროგრამის განვითარებას? (პროგრამის შეთავაზების მიზეზი)
- როგორ შეესაბამება პროგრამის მიზნები მისიას?

მტკიცებულებები:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის მოკლე აღწერა, მისიის განაცხადი, წესდება, ფაკულტეტის დებულება და სხვა სამართლებრივი აქტები, განვითარების გეგმა.

1.2 პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ფორმულირებული და განხორციელებადია

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ აღწერთ პროგრამის მიზნებს? როგორ მიეწოდება მიზნები საზოგადოებას?
- როგორ აღწერთ მიზნების თანმიმდევრობას? არსებობს თუ არა რაიმე წინააღმდეგობები? წინასწარ გამიზნულია ეს თუ არა, და რატომ?
- როგორაა აღწერილი მიზნებში დასაქმებულობა?
- როგორ აღწერს მიზნები კურსდამთავრებულთა პიროვნულ განვითარებასა და მოქალაქეობრივ ღირებულებებს?

მტკიცებულებები:

პროგრამის მიზნებში ასახულია სტუდენტებისათვის მეცნიერული საფუძვლების გაცნობა, სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბება, პიროვნული განვითარება და დასაქმებულობა.

1.3 კვალიფიკაცია და კომპეტენციები, რომელთა მიღწევასაც პროგრამა ისახავს მიზნად, შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს და დარგობრივ/საგნობრივ სტანდარტს

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ არის უზრუნველყოფილი პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციებისა და ხარისხის დონის შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან/სექტორულ კვალიფიკაციებთან/ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან?

მტკიცებულებები:

ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, სექტორული/საგნობრივი სტანდარტები

1.4 პროგრამის აგებულება და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს (კურსდამთავრებულთა) კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- ითვალისწინებს თუ არა მიზნები კვალიფიკაციებს, რომლებიც შეესაბამება შრომის ბაზარს?
- როგორ არის ეს უზრუნველყოფილი პროგრამის დიზაინში?

მტკიცებულებები:

სპეციფიკური სფეროს შრომის ბაზრის ანალიზი და უმაღლესი განათლების სფეროში უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ მსგავს პროგრამებთან შედარებითი ანალიზი.

1.5 პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის მიხედვით და მოდულარული პრინციპით. თითოეული მოდულის/კურსის კრედიტების მოცულობა შეესაბამება მოდულის/კურსის სწავლის შედეგებს.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ აღწერდით კრედიტების სისტემასა და მოდულარიზაციის განხორციელების პროცესს?
- როგორ ასახავს კრედიტების სისტემა სტუდენტების სამუშაო დატვირთვას და როგორ არის ეს შეფასებული/შემოწმებული?

მტკიცებულებები:

გამოცდის მარეგულირებელი დოკუმენტები, პროგრამის აგებულება, სწავლის შედეგები.

1.6 პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებს.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- რამდენად არიან ჩართულნი დაინტერესებული პირები სწავლის შედეგების განსაზღვრაში?
- რამდენად და რა ფორმით ურთიერთობთ ეკონომიკურ/შრომით ბაზართან/პროფესიულ ორგანიზაციებთან?
- როგორ აღმოაჩენს უნივერსიტეტი დაინტერესებული პირების საჭიროებებსა და მოთხოვნებს?

მტკიცებულებები:

სახელმწიფოს, შრომის ბაზრის, სტუდენტების/მშობლების, აკადემიური საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროებების კვლევა.

1.7 პროგრამაზე მიღების წინაპირობები მკაფიოდაა განსაზღვრული და გამჭვირვალეა.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- რა არის მისაღები გამოცდების მოთხოვნები?
- როგორ არის მისაღები გამოცდების პროცედურა ორგანიზებული/სტრუქტურირებული?
- ხელმისაწვდომია თუ არა მიღების მოთხოვნები საზოგადოებისათვის?
- როგორ არის უზრუნველყოფილი მისაღები მოთხოვნების შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასთან?

მტკიცებულებები:

პროგრამაზე მიღების მარეგულირებელი დოკუმენტები.

1.8 პროგრამის მიზანი და განხორციელების სტრატეგია ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- აღწერეთ პროგრამის საერთაშორისო ასპექტები?
- როგორ არის საერთაშორისო ასპექტები ასახული სასწავლო გეგმაში?
- რამდენი უცხოელი, საერთაშორისო გამოცდილების მქონე სტუდენტი/მასწავლებელი სწავლობს/ასწავლის კონკრეტული პროგრამის ფარგლებში?
- რომელ უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობს პროგრამა?
- რა დონეზეა (სავალდებულო ან რეკომენდებული) სტუდენტების მობილობა პროგრამაში?
- რომელი კურსები/მოდულები ისწავლება უცხო ენებზე?

მტკიცებულებები:

პროგრამის ანალიზი ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება, სწავლების ენები, უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა, კრედიტების სისტემა, პროფესორებისა და სტუდენტების მობილობა (გაცვლა) და ა. შ.

1.9 შესაბამის დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა აღწერილია პროგრამის შედეგებთან კავშირში.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- რა სახის პარტნიორობები არსებობს პროგრამის ფარგლებში სხვა ინსტიტუტებთან?
- რა არის ამ პარტნიორობების მიზანი?
- რა სახის პარტნიორობებია გამოყენებული სტუდენტებთან პრაქტიკული ტრენინგების (პრაქტიკის) უზრუნველსაყოფად?

მტკიცებულებები:

ხელშეკრულებები თანამშრომლობის შესახებ, პროგრამის აღწერა (პრაქტიკა) და ა. შ.

1.10 პროგრამა მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევისა და (პროგრამის შედეგებში მოცემული) კომპეტენციების განვითარებისაკენ.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ აღწერთ სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ თანმიმდევრობასა და შიდა ლოგიკას, მიზნად დასახული კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების განვითარებას?
- როგორ შეაფასებდით ძირითად საგნებს სავალდებულო/არჩევითთან (მეიჯორი/მაინორი) კავშირში და რა მოსაზრებებით არის განპირობებული თქვენი შეფასება?

მტკიცებულებები:

სასწავლო გეგმები (განაწილება, სასწავლო ცხრილი), გამოცდის მარეგულირებელი დოკუმენტები, შეფასების შედეგები, ნაშრომები.

1.11 პროგრამის თითოეული მოდულის/კურსის აღწერა შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ დაახასიათებდით მოდულის აღწერასა და მიზნების შესაბამისობას კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით?

მტკიცებულებები:

მოდულის აღწერა.

1.12 მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ აღწერთ მოსაზრებებს კვალიფიკაციის სახელწოდების შესახებ (დონესა და სწავლების შედეგებთან დაკავშირებით)?

მტკიცებულებები:

მოცემულია კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველი და კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოს.

1.13 თითოეული მოდულის/კურსის სასწავლო შედეგებით განსაზღვრული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევას.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ უწყობს ხელს მოდულის/კურსის სწავლების შედეგები პროგრამის საერთო შედეგებს?
- როგორ აღწერთ ზოგადი და საგნობრივი კომპეტენციების ბალანსს?

მტკიცებულებები:

მოდულის აღწერა – სტუდენტთა გამოცდების შედეგები.

სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ აღწერთ სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგიას და მათ შესაბამისობას მოდულის მიზნებთან?
- როგორ უზრუნველყოფთ, რომ სწავლებისა და სწავლის სტრატეგიები იყოს სტუდენტზე/სწავლის შედეგებზე ორიენტირებული?
- უზრუნველყოფს თუ არა სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები სწავლების შედეგების მიღწევას, როგორც მოცემულია პროგრამაში?

მტკიცებულებები:

დიდაქტიკური კონცეფცია, გამოქვეყნებული შეფასების პროცედურები, რეგულაციები და შეფასების მეთოდები, სტუდენტთა შეფასების შედეგები.

2.2 სტუდენტთა შეფასების სისტემა მრავალკომპონენტანია და შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ აღწერთ პროცედურებს სტუდენტების შესაფასებლად და მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან?

მტკიცებულებები:

წესები და მარეგულირებელი დოკუმენტები.

2.3 თითოეული სასწავლო კურსის/ მოდულის სტუდენტის შეფასების სისტემა, მეთოდების და ხერხების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით/მოდულით/კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ აღწერდით გამოცდების ტიპსა და დონეს და მათ შესაბამისობას მოდულების სწავლების შედეგებთან?
- არის თუ არა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები გამოყენებული? მათ შორის რომელი?
- არის თუ არა შეფასების კრიტერიუმები ცნობილი საზოგადოებისა და სტუდენტებისათვის?

მტკიცებულებები:

მოდულის აღწერა, წესები და მარეგულირებელი დოკუმენტები.

2.4 საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაციის პრინციპები, სტუდენტთა მიღებისა და შერჩევის ჩათვლით, გამჭვირვალეა და უზურუნველყოფს პროგრამის წარმატებით დასრულებას დაგეგმილ ვადებში.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ აღწერდით საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაციის პრინციპებს?
- როგორ არის ფაკულტეტის მენეჯმენტი ორგანიზებული?
- როგორ უზურუნველყოფს ორგანიზაცია, რომ სტუდენტები დაგეგმილი დროის ფარგლებში ასრულებენ სწავლას?
- არის თუ არა სასწავლო პროგრამა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი და ნაცნობი სტუდენტებისათვის?

მტკიცებულებები:

ფაკულტეტის დებულება, სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების გამჭვირვალე სისტემა, სტატისტიკური მონაცემები (მიტოვების/განთესვის დონე, სწავლის საშუალო ხანგრძლივობა, პროგრამის წარმატებით დასრულების მაჩვენებელი, პროგრამის დასრულების საშუალო შეფასების მაჩვენებელი, უცხოელ სტუდენტთა პროცენტული შემადგენლობის მაჩვენებელი), წლიური სტატისტიკა, კრედიტების სისტემა, პროგრამის მენეჯმენტი.

2.5 შერჩევის პროცედურა უზურუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი უნარებისა და მომზადების მქონე სტუდენტების ჩართვას პროგრამაში.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ არის პროგრამაზე შერჩევის/დაშვების წინაპირობა ორგანიზებული?
- აქვს თუ არა ფაკულტეტს/ინსტიტუტს პროგრამაზე აყვანის ან მარკეტინგული სტრატეგია, რათა მოიზიდოს პროგრამისათვის შესაბამისი სტუდენტები?
- არის თუ არა დაშვების წინაპირობები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი?

მტკიცებულებები:

მიღებისა და შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტები.

2.6 პროგრამაში შემავალი მოდულების/კურსების თანმიმდევრობა ლოგიკურია.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- ვითარდება თუ არა კურსების პროგრესი შესავალი ნაწილიდან უფრო რთულ საკითხებამდე?

მტკიცებულებები:

მოდულის აღწერა, პროგრამა (სასწავლო გეგმა)

2.7 პროგრამაში უზრუნველყოფილია თეორიასა და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის გაუმჯობესების მიზნით.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ აღწერთ თეორიისა და პრაქტიკის შერწყმას პროგრამაში?
- როგორ აუმჯობესებს კურსდამთავრებულთა დასაქმებას ორივე – თეორიული და პრაქტიკული შინაარსი?

მტკიცებულებები:

პროგრამის აღწერა, მოდულის აღწერა, გამოცდები, სტუდენტების შეფასების შედეგები (სტუდენტების მიერ შეფასება) ხელშეკრულებები დაწესებულებებთან

სტანდარტი 3 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

3.1 შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები უზრუნველყოფს სწავლების, სწავლისა და მეცნიერული სამუშაოსათვის ადეკვატური გარემოს შექმნას

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- რა რესურსებია საჭირო პროგრამის განსახორციელებლად და რა დონემდეა ხელმისაწვდომი?
- არსებობს თუ არა უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სტანდარტები? მოწმდება თუ არა ისინი?

მტკიცებულებები:

შენობის გეგმა, მოწყობილობების აღწერა.

3.2 სწავლების, სწავლისა და მეცნიერებულ მუშაობისათვის ადეკვატური საინფორმაციო ბაზა ხელმისაწვდომია.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- რამდენადაა ხელმისაწვდომი კომპიუტერული და მედიამოწყობილობები ბიბლიოთეკაში, მათი რაოდენობა, ხარისხი და ონლაინხელმისაწვდომობა სპეციალურ ლიტერატურასთან?

მტკიცებულებები:

საჭირო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის აღწერა, ადგილზე ვიზიტი, ხელშეკრულებები გამომცემლობებთან, ბიბლიოთეკებთან.

3.3 პროგრამა ხორციელდება შესაბამისი სამეცნიერო და პედაგოგიური კომპეტენციის აკადემიური და სათანადო კვალიფიკაციის მქონე დამხმარე პერსონალის მიერ.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორია სტრუქტურა (ნახევარი განაკვეთი/სრული/ დამხმარე პერსონალი, სტუდენტის/მასწავლებლის რაციონი) და მასწავლებელთა რაოდენობა (ყველა დონეზე), მათი აკადემიური და პედაგოგიურ/დიდაქტიკურ კვალიფიკაციები და გამოცდილება პროგრამის მიზნებთან მიმართებით?

მტკიცებულებები:

პერსონალის დაქირავების/სამუშაოზე აყვანის მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრუქტურისა და რაოდენობის აღწერა, ფაკულტეტის თანამშრომელთა რეზიუმეები აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების ჩათვლით, პერსონალის დატვირთვის მატრიცა.

3.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მეცნიერებაზე, შეესაბამება თანამედროვეობას და პროგრამის სწავლის შედეგების ადეკვატურია.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ უზრუნველყოფთ სწავლებისა და სწავლისათვის საჭირო მასალების ხარისხის მოთხოვნის მიხედვით ხელმისაწვდომობას სტუდენტებისათვის, ადგილზე და ონლაინით?

მტკიცებულებები:

სასწავლო მასალები.

3.5 არსებობს პროგრამასთან დაკავშირებული ფინანსური გეგმა, რომელიც განხორციელებადია და გამჭვირვალე; ფინანსური სტაბილურობა უზრუნველყოფილია.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ ახორციელებთ პროგრამის ფინანსურ დაგეგმვას?
- როგორ არის ეს დაკავშირებული ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ფინანსურ გეგმასთან?

- აბალანსებს თუ არა ფინანსური გეგმა შემოსავლებსა და ხარჯებს?
- არის თუ არა პროგრამა ფინანსურად სტაბილური და მდგრადი?

მტკიცებულებები:

ფინანსური გეგმა, დაფინანსების წყაროები (კერძოდ, სახელმწიფო), ფინანსური გარანტია.

სტანდარტი 4 – მსმენელთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

4.1 კურსდამთავრებულთა კომპეტენციების დონე იძლევა სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საშუალებას

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ უზრუნველყოფთ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს საჭირო კვალიფიკაციებით, რათა სწავლა გააგრძელონ მაგისტრატურაში?
- როგორ უზრუნველყოფთ მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს საჭირო კვალიფიკაციებით, რათა სწავლა გააგრძელონ დოქტორანტურაში?

მტკიცებულებები:

გამოცდების შედეგები და ნაშრომები.

4.2 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს ტრენინგავლილ კურსდამთავრებულთა დასაქმებულობას.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- რამდენმა კურსდამთავრებულმა დაიწყო მუშაობა პროგრამის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ? პროცენტი?
- არის თუ არა მათ მიერ მიღებული სამსახურები დაკავშირებული მათი განათლების სფეროსთან?
- თვლიან თუ არა კურსდამთავრებულები, რომ ისინი კარგად არიან მომზადებულნი სამუშაოსთვის?
- არიან თუ არა დამსაქმებლები კმაყოფილნი კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის დონით?

მტკიცებულებები:

კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, დამსაქმებლების გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა პროფესიული კარიერა.

4.3 ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის დახმარების სერვისის შეთავაზებას. სტუდენტი იღებს ყველა საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას, რაც აუცილებელია მისი მიღწევების გასაუმჯობესებლად.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ აღწერთ ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმებს სტუდენტებისათვის?

მტკიცებულებები:

სტუდენტების დახმარების პოლიტიკა, სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვა.

4.4 მობილობისა და აღიარების მარეგულირებელი ნორმები გამჭვირვალეა.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ აღწერთ რეგულაციებს მობილობისა და აღიარების გასაუმჯობესებლად?
- რა დონემდე გამოიყენება კრედიტების სისტემა საზღვარგარეთ სწავლების ასაღიარებლად?
- აქვს თუ არა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აღიარებისათვის საჭირო დამატებითი რეგულაციები, მაგალითად, ორმხრივი შეთანხმებები პარტნიორ ინსტიტუტებთან საზღვარგარეთ?

მტკიცებულებები:

შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების დოკუმენტურად ჩვენება

სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის ამაღლების პოტენციური შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს ხარისხის ამაღლების სისტემა, რომელიც მოიცავს შიდა- და გარეშეფასების მექანიზმებს.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორია ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, პროგრამის განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება?
- რამდენად ხშირი ხასიათი აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებულ პროგრამის შიდა-/გარეგანხილვის პროცესებს?

მტკიცებულებები:

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დოკუმენტაცია და შედეგები

5.2 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს “დაგეგმე - გააკეთე - შეამოწმე - იმოქმედე” ციკლს.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორია ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროცედურები, რომლებიც გამოყენებულია პროგრამის შინაარსის, პროცესებისა და შედეგებისათვის?

მტკიცებულებები:

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დოკუმენტაცია და შედეგები.

5.3 შემუშავებულია ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ უწყობს ხელს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხარისხის მუდმივი განვითარების/გაუმჯობესების პროცესსა და რეგულირებას?
- როგორ არის დაბალანსებული სისტემაში სტატუს-კვოს მაკონტროლებელი და ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების ასპექტები?

მტკიცებულებები:

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დოკუმენტაცია.

5.4 შიდა და გარე შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისათვის

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ არის პროგრამის განახლების სისტემა ორგანიზებული?
- რა გზით არის გათვალისწინებული პროგრამაში საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე ცვლილებები?
- როგორ არის ორგანიზებული და გარანტირებული თანამშრომლების პროფესიული განვითარების საკითხი პროგრამის განახლებასთან მიმართებით?

მტკიცებულებები:

ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია, სამოქმედო გეგმა.

5.5 ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროცედურები გამოიყენება შინაარსის, პროცესებისა და შედეგების სისტემატიური და განუწყვეტელი კონტროლისა და მონიტორინგისათვის.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ არის გამოყენებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რათა მუდმივად მიმდინარეობდეს ხარისხის უზრუნველყოფის შინაარსის, პროცესისა და შედეგების კონტროლი და მონიტორინგი?
- როგორ არის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირება შემოწმებული? ტარდება თუ არა შემოწმება რეგულარულად? განხორციელდა თუ არა ცვლილებები ამ ბოლო დროს? თუ განხორციელდა, რომელი და რატომ?

მტკიცებულებები:

ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია, სტრატეგიული დოკუმენტები.